



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49. 492320912

თარიღი:28/07/2023

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 104

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩა N2-ში მდებარე, შენობის (საკ.კოდი N29.08.33.031) მესამე სართულზე განთავსებული 216 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, 12 (თორმეტი) წლის ვადით,იჯარის უფლებით, შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „ოცნება“-სთვის სარგებლობაში გადაცემის შესახებ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (48-482319865; 17/07/2023) წერილი, რომელშიც შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „ოცნებას“ დირექტორის წერილის საფუძველზე ითხოვს თანხმობას ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩა N2-ში მდებარე, შენობის (საკ.კოდი N29.08.33.031) მესამე სართულზე განთავსებული 216 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, 12 (თორმეტი) წლის ვადით,იჯარის უფლებით, შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „ოცნება“-სთვის სარგებლობაში გადაცემის შესახებ .

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩა N2-ში მდებარე, შენობის (საკ.კოდი N29.08.33.031) მესამე სართულზე განთავსებული 216 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, 12 (თორმეტი) წლის ვადით, იჯარის უფლებით, შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „ოცნება“-სთვის სარგებლობაში გადაცემის შესახებ .
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

